საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 913

თბილისი „19“ 10 2017 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 ივნისის N72/ნ ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 16 ოქტომბრის N1266125 მომართვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 18 ოქტომბრის N1278154 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 20 ოქტომბრიდან 2017 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით;
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ალექსანდრე ჯეჯელავა